არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება

№060/01 2018 წლის 5 დეკემბერი ქ. თბილისი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის
პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებისა და
მექანიზმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს კანონის - „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 35-ე მუხლის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის 3 ნაწილის, მე-14 მუხლის პირველი ნაწილის, მე-3 ნაწილის „ბ“, „ე“, „ვ“ და „ლ“ პუნქტისა და მე-4 ნაწილის შესაბამისად, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები დანართის შესაბამისად.
2. ამ ბრძანების ასლი გამოქვეყნდეს საჯაროდ.
3. ეს ბრძანება თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შესასრულებლად გადაეგზავნოთ უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს/პერსონალს.
4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

პროფესორი, არქიმანდრიტი ადამი
(ვახტანგ ახალაძე)

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წინამდებარე წესი განსაზღვრავს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა ვალდებულებას პატივი სცეს სხვის ინტელექტუალურ საკუთრებას, დაიცვას აკადემიური კეთილსინდისიერება, არ დაუშვას პლაგიატის არც ერთი ფორმის გამოყენება და გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის რეპუტაციას. აგრეთვე აკადემიურ და სტუდენტურ სივრცეში პლაგიატის შესახებ ინფორმირებულობას, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების მექანიზმებს.

მუხლი 2. პლაგიატი

1. პლაგიატი (ლათ: Plagiatus) ზოგადად ნიშნავს სხვა ადამიანის ნაშრომის გამოყენებას, მითვისებას ავტორის მითითების გარეშე, რაც არაკეთილსინდისიერი საქციელია.

2. პლაგიატი ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის შინაგანაწესს, ეთიკის ნორმებს, აკრძალული ქმედებაა და როგორც წინასწარგანზრახული, ასევე უნებლიე პლაგიატი ექვემდებარება სანქციებს.

მუხლი 3. პლაგიატის ფორმები

1. პირდაპირი პლაგიატი - სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგის ტექსტის, იდეის, კონცეფციის, ვიზუალური ან აუდიო მასალის, ნებისმიერი სახის მონაცემების გამოყენება და გავრცელება ავტორის მითითების გარეშე;

2. პერიფრაზირებული პლაგიატი - სხვისი აზრის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა ავტორის მითითების გარეშე;

3. მოზაიკური პლაგიატი - სხვადასხვა წყაროებიდან აღებული მოსაზრებების იმგვარი გაერთიანება, როდესაც ცალკეული ავტორი მითითებული არ არის;

4. პლაგიატი დაუდევრობით - არასწორი ციტირება დაუდევრობის გამო;

5. საავტორო უფლებების დარღვევა - სხვისი ნამუშევრის გამოყენება საავტორო უფლებების მოპოვების გარეშე;

6. თვითპლაგიატი - საკუთარი ნაშრომის განმეორებით გამოყენება ორიგინალური წყაროს მიუთითებლად;

7. პირველწყაროს ტექსტის მცირედი „კოსმეტიკური“ ცვლილებები (მაგალითად, რამდენიმე სიტყვის ან წინადადების წყობის შეცვლა თუ აზრი იგივეა) ავტორის მითითების გარეშე; გამოუქვეყნებელი მასალის (სტუდენტის ნაშრომი, ბლოგი, ლექციის ჩანაწერები, კონსპექტი, ლექცია, ზეპირი სიტყვა ვებგვერდის, ფილმის, სატელევიზიო გადაცემის და სხვა) გამოყენება ავტორის/წყაროს მითითების გარეშე;

8. საყოველთაოდ ცნობილი, „ზოგადი ცოდნის “ გამოყენება-გავრცელება პლაგიატი არ არის და წყაროს მითითებას არ საჭიროებს.

მუხლი 4. პლაგიატის პრევენცია

4.1. პლაგიატის შესახებ პრევენცია მოიცავს რამდენიმე ასპექტს:

▪ სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ინფორმირება პლაგიატის შესახებ ამ წესის მეშვეობით, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო სივრცეში.

▪ სავალდებულოდ გასაცნობი დოკუმენტია ხელშეკრულების გაფორმების მომენტში.

4.2. სტუდენტების თვითშეგნების ამაღლება:

▪ სწავლების პირველივე წლიდან წერითი დავალებების (რეფერატი, ესე, სტატია, პრეზენტაცია და სხვა) მიცემა და ლექტორის მიერ ახსნა-განმარტებების მიცემა და პლაგიატზე შემოწმება.

▪ საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა პლაგიატის თემაზე;

4.3. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის პლაგიატის აღმოჩენის პროგრამაში ტექსტების შემოწმების შესაძლებლობების შესახებ საჯარო შეხვედრების მოწყობა.

4.4. უნივერსიტეტში შექმნილი ყველა საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო საფეხურზე შექმნილი კვლევები/ნაშრომები და ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები სავალდებულო წესით მოწმდება ანტიპლაგიატის ელექტრონულ პროგრამაში, რაც პრევენციული ფორმით მოქმედებს სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალზე (ეს პუნქტი ამოქმედდება 2019 წლიდან, ეტაპობრივად).

მუხლი 5. პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმები

5.1. პლაგიატის აღმოჩენის ძირითადი მექანიზმებია ლექტორის, ნაშრომის ხელმძღვანელის, რეცენზენტის დასკვნა და ანტიპლაგიატის ელექტრონული პროგრამა.

5.2. სტუდენტის შემთხვევაში სასწავლო კურსის ლექტორი ვალდებულია შეამოწმოს ნაწერი სილაბუსით გათვალისწინებულ ძირითად ლიტერატურასთან და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

5.3. ნაშრომის ხელმძღვანელი, რეცენზენტი და შემოწმებაზე პასუხისმგებელი სხვა პირი, ვალდებულია ნაშრომი გადაამოწმოს შემდეგი მიმართულებებით:

- ნაშრომის სქოლიოში მითითებული ლიტერატურის შედარება ნაშრომის თავებთან / პარაგრაფებთან / აბზაცებთან;
- თემასთან დაკავშირებით არსებულ ძირითად ლიტერატურასთან შედარება, რაც არ არის მითითებული სქოლიოში;
- ანტიპლაგიატის ელექტრონულ პროგრამაში შემოწმება.

5.4. უნივერსიტეტში შექმნილი ყველა სტატია, პუბლიკაცია, მოხსენება, წიგნი, სამაგისტრო/სადისერტაციო ნაშრომი, საბოლოო სახით წარდგენის მომენტიდან 10 დღის ვადაში სავალდებულო წესით მოწმდება ანტიპლაგიატის ელექტრონულ პროგრამაში.

5.5. ანტიპლაგიატის ელექტრონულ პროგრამაში მასალის გადამოწმებას უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მუხლი 6. პლაგიატზე რეაგირების მექანიზმები

6.1. ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურზე სალექციო კურსის შეფასების ფარგლებში შექმნილ წერით დავალებაში პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში სასწავლო კურსის ლექტორი უფლებამოსილია საკუთარი გადაწყვეტილებით გააუქმოს ნაწერი შეფასების გარეშე და ამის შესახებ აცნობოს ფაკულტეტ(ებ)ის დეკანს.

6.2. საბაკალავრო/სამაგისტრო/სადისერტაციო ნაშრომში არსებული პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში, აღმომჩენი პირი ვალდებულია 3 დღის ვადაში აცნობოს ფაკულტეტ(ებ)ის დეკანს.

6.3. აკადემიური პერსონალის მხრიდან ნაშრომში კეთილსინდისიერების ნორმების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში აღმომჩენი პირი 3 დღის ვადაში მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს.

6.4. ანტიპლაგიატის ელექტრონული პროგრამის მიერ საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო კვლევით კომპონენტში ტექსტური თანხვედრის დაფიქსირების შემთხვევაში, თემის ხელმძღვანელი ახდენს შემოწმებას და ამზადებს ანგარიშს ნაშრომში პლაგიატის შესახებ. თუ ნაშრომში არ აღმოჩნდა პლაგიატი, ამის შესახებ ხელმძღვანელი აკეთებს ჩანაწერს თავის დასკვნაში. თუ თემის ხელმძღვანელის მიერ დადასტურდება პლაგიატის არსებობა ან არსებობის ვარაუდი, საკითხის განხილვა მოხდება ამ წესის მე-7 და მე-8 მუხლების შესაბამისად.

6.5. საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ფარგლებში შესრულებული კვლევითი კომპონენტის ფარგლებში მომზადებულ ნაშრომზე, თემის ხელმძღვანელის მიერ მომზადებული დასკვნა და ანგარიში, სტუდენტის დაცვაზე დაშვების შემთხვევაში, წარედგინება შესაბამის კოლეგიურ ორგანოს.

6.6. თუ თემის ხელმძღვანელის ანგარიში ადასტურებს პლაგიატს, ავტორს უფლება აქვს გაითხოვოს ნაშრომი გადასამუშავებლად. გამოთხოვილი ნაშრომის გადამუშავებული ვარიანტის წარმოდგენა შესაძლებელია შემდეგ სემესტრში. ნაშრომის გათხოვა არ გამორიცხავს დისციპლინური ღონისძიებების გატარებას.

მუხლი 7. პლაგიატის დადასტურება და რეაგირება საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომთან დაკავშირებით

7.1. საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომთან დაკავშირებით, პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევის დროს, ფაკულტეტ(ებ)ის დეკანი უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით ქმნის ფაკულტეტის პლაგიატის კომისიას, რომელიც შეისწავლის ნაშრომს და 10 დღის ვადაში ფაკულტეტ(ებ)ის დეკანს წარუდგენს დასკვნას. დასკვნის განიხილვას ხდება ნაშრომის ავტორის თანდასწრებით, რომელიც წარადგენს თავის პოზიციას. პლაგიატის არსებობის/არარსებობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის პლაგიატის კომისია.

7.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში პლაგიატის კომისიის გადაწყვეტილებით უქმდება ნაშრომი და ოქმი დისციპლინური პასუხისმგებლობისთვის გადაეგზავნება ფაკულტეტ(ებ)ის დეკანს.

7.3. სტუდენტის მიმართ დადგენილი წესით გამოყენებული იქნება დისციპლინური პასუხისმგებლობის შესაბამისი სანქცია.

მუხლი 8. პლაგიატის დადასტურება და რეაგირება აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით

8.1. აკადემიური პერსონალის კვლევით საქმიანობაში პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში 10 დღის ვადაში რექტორის ბრძანებით იქმნება „უნივერსიტეტის პლაგიატის კომისია“, რომელიც დაკომპლექტდება შესაბამისი დარგის კვალიფიციური სპეციალისტებით, როგორც უნივერსიტეტის პერსონალისგან (თუკი არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი), ასევე გარეშე პირებისაგან.

8.2. კომისია შეიმუშავებს საქმეში გარკვევის შემდეგ, შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუმეტეს 30 დღის ვადაში გამოიტანს შესაბამის დასკვნას.

8.3. კომისიის მუშაობა უნდა იყოს კონფიდენციალური და პლაგიატის დადასტურებამდე ზიანი არ უნდა მიაყენოს აკადემიური პერსონალის პრესტიჟს.

8.4. კომისია ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.

8.5. კომისიის დასკვნის შესახებ ეცნობება მოთხოვნის დამრღვევ პირს (შემდგომში - დამრღვევი), ასევე საქმესთან დაკავშირებულ სხვა პირებს (კვლევის პროექტის სპონსორს, პროექტზე მომუშავე ჯგუფის სხვა წევრებს და ა.შ.).

8.6. დამრღვევ პირს შესაძლებლობა ეძლევა საპასუხო სიტყვით, არგუმენტებით წარსდგეს კომისიის წინაშე. იმ შემთხვევაში თუ დარღვევის ფაქტი არ დადასტურდება, უნივერსიტეტის რექტორი და შესაბამისი ფაკულტეტი აამოქმედებს ყველა მის ხელთ არსებულ მექანიზმს პირის სამეცნიერო რეპუტაციის აღსადგენად.

8.7. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული პირის მიმართ დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, ნაშრომის გაუქმებასთან ერთად, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, შეიძლება განისაზღვროს შემდეგი დისციპლინური ზომები:

- მიეცეს გაფრთხილება;
- ავტორის ყველა სტატია გამოწვეულ იქნას და შემოწმდეს პლაგიატის ან ფალსიფიკაციის თვალსაზრისით;
- კვლევითი კომპონენტის ხელმეორედ გასავლელად იხდის დამატებით კრედიტის შესაბამის თანხას.
- დაწესდეს სპეციალური მონიტორინგი მომავალ საქმიანობაზე;
- შეუწყდეს სტუდენტის სტატუსი (მაგისტრანტის შემთხვევაში);
- განთავისუფლდეს აკადემიური თანამდებობიდან.

მუხლი 9. გასაჩივრება

პლაგიატის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში შესაბამისი გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

10.1. აღნიშნულ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება უნივერსიტეტის რექტორის განკარგულებითი დოკუმენტით.

№060/01 2018 წლის 5 დეკემბერი

10.2. უნივერსიტეტის სტუდენტები და პერსონალი ვალდებულნი არიან გაეცნონ წინამდებარე წესს, ხოლო ადმინისტრაცია ვალდებულია დოკუმენტი განათავსოს საჯარო სივრცეში.

10.3. წესი ამოქმედდეს დამტკიცებისთანავე.

№060/01 2018 წლის 5 დეკემბერი